ᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲑᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. Კ. Ა. (ᲑᲝ) ᲪᲔᲜᲢᲠ. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲠᲔᲓ. ᲓᲐ ᲒᲐᲛᲒ. ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥ. ᲡᲐᲥᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ: ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ—14—76, ᲠᲔᲓ. ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ—23—17, ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ— 10—58, ᲒᲐᲛ. ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲘᲡ—3—81.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 17 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1932 ᬗ. № 217 (3471)

ᲨᲔᲛᲝᲥᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲗᲔᲡᲮᲐ—ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ ᲢᲔᲥᲮᲔᲑᲘᲗ

საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილებაში 1932 წლის შემოდგომის თესვის ჩატარების შესახებ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ოჯახსაკნელ წლების განმავლობაში ნათესი ფართობის გადიდებასთან ერთად შემჩნეულია მოსავლიანობის მნიშვნელოვანი შემცირება.

იმ კონკრეტულ ღონისძიებათა შორის, რომელსაც ცეკა და სახკომსაბჭო იძლევა ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების და მის საფუძველზე მოსავლიანობის გადიდების უზრუნველსაყოფად მთავარია: ნიადაგის დამუშავების გაუმჯობესება, ხვნის დამთავრება მტკიცედ განსაზღვრულ ვადებში, სათესლე მასალის შეგროვება, გაწმენდა შეწუმვა, მწკრივიად თესვა, დროზე მორწყვა, ნიადაგის ნოყიერება, მინდვრის მავნებლებთან ბრძოლა და ყველა იმ აგროკულტურული ღონისძიებათა განხორციელება, რომელიც აუცილებელია მოსავლიანობის გადიდებისათვის.

შეიძლება ამჟამად ითქვას, რომ ამ ღონისძიებათა გატარებას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემოდგომის თესვის წარმატებისათვის —მთელ რიგ რაიონებში არ ექცევა საჭირო ყურადღება. შემოდგომის თესვის სამუშაოთა ძირითადი დარგებში ადგილი აქვს ოპორტუნისტულ თვითმდინარებას, კამპანიების „მარიგეობის“ პრაქტიკას და დემობილიზაციურ განწყობილებებს.

ავიღოთ მაგალითისათვის **სათესლე მასალების** შეგროვების საკითხი. ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად შემოდგომის თესვისათვის საჭირო სათესლე მასალის შეგროვება უნდა დამთავრებულიყო 15 სექტემბრისათვის, ფაქტიურად სათესლე მასალის შეგროვების კამპანია ჩაიშალა. პირველ სექტემბრისათვის სათესლე მასალის შეგროვების მინდინარეობაზე საქართველოს მიწსახკომში ცნობები წარმოდგენილი ქონდა მხოლოდ 2 რაიონს (ცხეთა, კასპი), 10 სექტემბრისათვის კი თესლის შეგროვების ცნობები წარმოადგინა 7 რაიონმა. ამ ცნობების მიხედვით შემოდგომის თესლეული (ნაცვლად 103.000 ცენტნერისა) შეგროვილია 23.044 ცენტნერის რაოდენობით. 10 სექტემბრისათვის სათესლე და დასაზღვევი ფონდების შეგროვება დაწყებული არ ქონდათ ს. ანაგის, ბოდბისხევის, ტიბაანის და არბოშიკის (სიღნაღის რაიონი) სოფლის საბჭოებს.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა თესვის **გეგმების დაყვანის დარგში.** ტოლოსნის რაიონში კოლმეურნეები და ღარიბ-საშუალო გლეხები არ იცნობდენ საშემოდგომო თესვის გეგმებს .ონის რაიონის მიწგანს სასოფლო საბჭოებისათვის ჯერ კიდევ არ მიუცია საშემოდგომო თესვის დავალებები, 10 სექტემბრისათვის სიღნაღის რაიონის სოფ. ნუკრიანის, ვაჭრის და საქობოს სოფლის საბჭოებს შედგენილი არ ქონდათ თესვის გეგმები და არც საჭირო თესლეულის რაოდენობა იცოდნენ.

ადგილებიდან არ არის მიღებული სრული ცნობები მანქანა-იარაღების შეკეთების შესახებ, მაგრამ თვით ის მასალებიც, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია რამოდენიმე რაიონიდან (გარე-კახეთი, სტალინისი, დუშეთი), იძლევა იმის საგნალს, რომ ამ დარგშიც არ არის ყველაფერი რიგზე.

შემოდგომის თესვის მდგომარეობის შეფასებას თუ მიუდგებით ამ სამი ძირითადი მაჩვენებლების თვალსაზრისით (თესლის შეგროვება, გეგმების დაყვანა, მანქანა-იარაღების რემონტი) უნდა დავასკვნათ, რომ მდგომარეობა ამ დარგში **სავანგაშოა.**

ეს ჩამორჩენა აიხსნება იმით, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად რაიონების უმრავლესობაში, სადაც ძირითადათ ტარდება თავთავიანი კულტურის თესვა, ადგილი აქვს შემოდგომის თესვის აშკარა შეუფასებლობას. პარტიულ, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებს დღემდე არ მიუღიათ ზომები ბოლშევიკური მუშაობის გასაშლელად თესვის დავალებათა შესრულებისათვის. ცეკას და სახკომსაბჭოს კატეგორიული გაფრთხილებით იმის შესახებ, რომ ადგილებს უზრუნველეყოთ თესვის დროზე დაწყება და მისი უმოკლეს ვადაში დამთავრება — ზოგიერთი რაიონების მიერ უყურადღებოთ იქნა დატოვებული. სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით საკოლმეურნეო ოჯახებს, დღემდე როგორც საჭიროა არ მოუკიდიათ ხელი ისეთი ამოცანების შესრულებისათვის, როგორიცაა: საანეულო ხვნა, თესლეულის შეგროვება, მანქანა-იარაღების შეკეთება, გეგმების დაყვანა და სხვ. ჯერ კიდევ არ არის საკმაო მასიური ახსნა – განმარტებითი მუშაობა გაწლილი შემოდგომის თესვის სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის გასარკვევად.

ამ სერიოზული ჩამორჩენის ატმოსაფხვრელად საჭიროა ენერგიული სისტემატიური მუშაობის გაწლა. ბოლო უნდა მოეღოს საერთო და განყენებულ მსჯელობას ხარისხობრივ მაჩვენებლებს გაუმჯობესებაზე. საჭიროა დაუყოვნებლივ გადასვლა **სიტყვიდან საქმეზე.** საჭიროა ახლავე, გადაუდებლად, გაუკიანურებლად მთელი ძალების მობილიზაცია თესვის გეგმების დაყვანის დამთავრებისათვის უახლოეს დღეებში. ამ გეგმების დაყვანას წინ უნდა უსწრებდეს მასიური ახსნა – განმარტებითი მუშაობა. საჭიროა კოლმეურნეებს და ღარიბ-საშუალო გლეხებს ამომწურავად გავაცნოთ ის ამოცანები, რომელსაც ჩვენ ვისახავთ შემოდგომის თესვასთან დაკავშირებით. საჭიროა **გეგმის შედგენაში თვით კოლმეურნეების და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების აქტიურად ჩაბმა.** მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ეს გეგმები გადაიქცეს ისეთის მშრომელთა ნამდვილ საბრძოლო პროგრამად.

კოლმეურნეობათა ხაზით თესვის წარმატება დამოკიდებულია შრომის სწორ ორგანიზაციაზე, განსაკუთრებით საკოლმეურნეო ბრიგადის მიხვაწმენილად მოწყობაზე. მხოლოდ ის კოლმეურნეობა შესძლებს შემოდგომის საწარმოო დავალებათა შესრულებას, რომელიც დროზე ჩატარებს ნაკვეთების და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მომზადებას ბრიგადებზე. აქედან ამოცანა: **გადავსინჯოთ, შევავსოთ და განვამტკიცოთ საკოლმეურნეო ბრიგადები,** გავუწიოთ მათ კონკრეტული ხელმძღვანელობა და მივცეთ ყოველგვარი საშუალება, განსაიჩონ მეტი თვითმოქმედება თესვის დავალებათა შესრულების საქმეში.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შენელდეს სათესლე მასალის შეგროვების ტემპები. თესლის საკითხი—ეს ძირითადი და გადამწყვეტია. თუ არ მივიღებთ მხედველობაში სტიქიურად დაზარალებულ რაიონებს—თითქმის ყველგან არის იმის შესაძლებლობა, რომ რაიონებმა სათესლე მასალით თვითონ დაიკმაყოფილონ მოთხოვნილება. კიდევ მეტი: სიღნაღის, გარეკახეთის და სხვ. რაიონებს აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ სათესლე მასალით დახმარება გაუწიონ მეზობელ რაიონებს. **თესლი ადგილებზე არის.** საჭიროა მხოლოდ მეტი ინიციატივა და უნარი ადგილობრივი სათესლე რესურსების მობილიზაციისათვის.

ადგილობრივ პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ხარისხზე, მათ უნარზეა დამოკიდებული თესვის გეგმების მთლიანად შესრულება. მიმდინარე წლის შემოდგომის თესვის გეგმები შეიცავენ მიწის რესურსების, საწარმოო საშუალებების, ტეხნიკური ბაზის და მუშა-ხელის რაოდენობის მტკიცედ გათვალისწინების საფუძველზე. თესვის გეგმები უაღრესად რეალურია მისი შესრულება ძალთა ენერგიულად მობილიზაციის პირობებში შეუძლია თვითეულ სოფელს. კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, სამანქანო-სატრაქტორო სადგურს.

პარტია და ხელისუფლება მოითხოვს ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან თესვის გეგმების შესრულებას. ჩვენი უდიდესი საპასუხისმგებლო მოვალეობაა შეინასრულოთ ეს დავალება დროზე და მთლიანად.

ᲐᲛᲮ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

გუშინ, გვალით თბილისში ჩამოვიდა ბათომიდან საკავშირო ცაკის თავმჯდომარე ამხ. მ. კალინინი, რომელიც გუშინ გაემგზავრა მოსკოვს.

ᲛᲐᲓᲜᲔᲣᲚᲝᲒᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲮᲔᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

ᲓᲔᲕᲓᲝᲠᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲡᲚᲝᲒᲚᲐᲓ ᲐᲦ ᲛᲝᲙᲕᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲢᲧᲕᲘᲘᲡ, ᲡᲐᲞᲘᲚᲔᲜᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲣᲗᲣᲠᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲓᲝᲗᲔᲑᲘ

ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ, 16 სექტემბერი. დევდორაკის გეოლოგიურმა საგამოკვლევო პარტიამ დევდორაკის მიდამოებში (ხევის რაიონი) აღმოაჩინა ტყვიის, სპილენძის, თუთიის და გოგირდოვანი რკინის მადნების ახალი საბადოები. სწარმოების მუშაობა საბადოების რიცხვის გასოსარკვევად. მუშაობას აფერხებს მუშების ნაკლებობა (ადს).

ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲓᲐᲜ

ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘ

ᲙᲐᲡᲞᲘ, 16 სექტემბერი (საქ. კომ.). ამ 6 დღის განმავლობაში რკინის გზას არც ერთი ვაგონი არ მოუწოდებია კასპის ცემენტის ქარხნისათვის. ვაგონების მოუწოდებლობის გამო ქარხნის საწყობები ვეღარ იტევენ დაშზადებულ ცემენტს. მოსალოდნელია ქარხნის გაჩერება. საჭიროა ამიერ-კავკ. რკ. გზის დირექციამ მიაქციოს ამ გარემოებას უურადღება და მიიღოს სასწრაფო ზომები ქარხნის ვაგონებით უზრუნველსაყოფად.

ᲙᲐᲡᲞᲘ, 16 სექტემბერი (საქ. კომ.). 15 სექტემბერს გამოიწვა 1202 კასრი ცემენტი, გეგმის — 45,9 პროც., დაიფქვა—2483 კასრი—92,8 პროც., გაიგზავნა 1656 კასრი—65,7 პროც. გამოწვის გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვია ღუმელის რემონტმა, ხოლო გაგზავნისა—რკ. გზის მიერ ქარხნისათვის ვაგონების მიუწოდებლობამ.

ᲞᲐᲠᲢᲗᲐᲗᲐᲑᲘᲠᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

მოვაწყოთ ჩაის სპეციალური ბრიგადები კოლმეურნეობებში

თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შრომის ორგანიზაციას ჩაის კოლმეურნეობებში. კამათში გამოსულ ამხანაგების სიტყვებიდან და მასალებიდან — გამოირკვა, რომ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი გაუპიროვნება და გათანაბრება ჩაის კოლმეურნეობებში. ჯერ კიდევ მრავლად გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც საუკეთესო კოლმეურნე, რომელიც სამაგალითოდ ასრულებს ჩაისათვის ნიადაგის მომზადების, ჩაის დაცვადამუშავების და სხვა დავალებებს — ღებულობს შრომის გასამრჯელოს ნაკლებს, ვინემ ხარმაცი და შრომის დეზერტირი.

ამხ. **ბაქრაძემ** თათბირზე მოიყვანა მრავალი ფაქტები **ოზურგეთის** რაიონის გამოკვლევის მასალებიდან იმის დასადასტურებლად, თუ როგორ ამბინძურებენ იქ ხელმძღვანელი ორგანოების დირექტივებს საკოლმეურნეო ბრიგადების მოწყობის შესახებ. გამოირკვა, **რომ ოზურგეთის რაიონში ზოგან ნაკვეთებს ამაგრებენ არა ბრიგადაზე საწარმოო პრინციპის მიხედვით, არამედ ცალკე კოლმეურნეზე.** იმავე ოზურგეთის რაიონში აგრეთვე ჩვენ გვაქვს მთელი რიგი კოლმეურნეობები, სადაც ბრიგადებს აწყობენ ტერიტორიალური პრინციპების მიხედვით. სათანადო დებულების თანახმად ბრიგადირი საუკეთესო კოლმეურნეობისაგან **ინიშნება** კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, ოზურგეთის რაიონის კოლმეურნეობებში ბრიგადირებს **ირჩევენ.**

ჩაის რაიონების კოლმეურნეობათა მუშაობის გამოკლილება გვარწმუნებს, რომ მხოლოდ საკოლმეურნეო ბრიგადების სწორად მოწყობის პირობებში შეიძლება ჩაის გეგმების შესრულების უზრუნველყოფა. თათბირზე ამხ. **ირ. ხუხუაძ** წამოაყენა **ჩაის კოლმეურნეობებში სპეციალური ბრიგადების გამოყოფის საჭიროება** ჩაის დარგში მუშაობათა ჩასატარებლად. მთელ რიგ შემთხვევებში ჩაის სამუშაოთა ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ საკოლმეურნეო ბრიგადა, რომელიც პასუხისმგებელია ჩაის განსაზღვრული ნაკვეთისათვის ამავე დროს ამუშავებს სხვ. მთელ რიგ კულტურებს. ასე მაგ. ჩაის ზოგიერთი კოლმეურნეობები ქობულეთის რაიონში ერთ და იმავე დროს ამუშავებენ 10-15 სხვადასხვა კულტურას. ჩაის რაიონში ასეთი შემთხვევები გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამიტომ ხშირად ჩვენ გვაქვს ისეთი მდგომარეობა, როდესაც ჩაის სამუშაოებს უკანა რიგში აყენებენ და თავდაპირველად მთელ ძალას ბელს მეორეხარისხოვან დამხმარე მეურნეობის სამუშაოებზე აბანდებენ.

ამხ. ი. ხუხუას წინადადება იმიტომაა ნიზანშეწონილი და მისაღები, რომ მისი გატარება ბოლოს მოუღებს კამპანიურობას ჩაის სამუშაოთა დარგში, აღმოფხვრის გაუპიროვნებას, იაფუნჯობებს პლანტაციების მოვლა-დამუშავების ხარისხს და რაც მთავარია უზრუნველყოფს ჩაისათვის ნიადაგის მომზადების დავალებათა ყოველ ეშვს გარეშე შესრულებას.

ამიტომ ჩაის სპეციალური ბრიგადების მოწყობის საკითხი დეტალურად უნდა დამუშავდეს და მიღებული უნდა იქნას ზომები ამ ბრიგადების ორგანიზაციისათვის. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სანარდო სისტემის ნამდვილად დანერგვას, შრომის აღრიცხვის გადაჭრით გაუჯობესებას. ჩაის კოლმეურნეცენტრმა კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციას უნდა მიაქციოს სერიოზული და განსაკუთრებული ყურადღება. უნდა გვახსოვდეს რომ **ბრიგადის სწორად მოწყობა სწყვეტს ყველაფერს.**

ჩაის მომყვანთა მომარაგებას შეუნელებელი ყურადღება

უდაოა რომ ჩაის გეგმის შესრულებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩაის მომყვანთა შეუფერხებელ გეგმიან მომარაგებას სამრეწველო საქონლით და მარცლეულით. ამ საკითხს ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს ამჟამადაც. თათბირზე ამ საკითხს ეხებოდნენ ამხ. **რამიშვილი, ყორჟოლაძე, გვასალია, ამირაღვა, ბაქრაძე** და სხვები. ადგილებიდან გამოსული ამხანაგების უმრავლესობა მიუთითებდნენ იმაზე, რომ მომარაგების კვარტალური და თვიური გეგმები დროზე ვერ სრულდება, უვაროსია სამრეწველო საქონლის ასორტიმენტი და სხვ.

მაგრამ ჩაის ზოგიერთი რაიონის საყვედური ჩაის მომყვანთა მომარაგების გეგმების შეუსრულებლობაზე არ გამოდგა სწორი. ცეკავშირის თავმჯდომარემ **ამხ. ამირაღვამ** თათბირს დაწვრილებით გააცნო ჩაის რაიონების მომარაგების ნამდვილი მდგომარეობა. გამოირკვა, რომ თუ არ მივიღებთ მხედველობაში უმნიშვნელო წვრილმანებს, ჩაის რაიონებისათვის სამრეწველო და სასურსათო საქონლის მიწოდების გეგმა მესამე კვარტალის ორი თვის განმავლობაში შესრულებულია 100 პროცენტით; რაც შეეხება ასორტიმენტს აქ ადგილი აქვს ზოგიერთ შეუსაბამობას. მაგალითად ზოგიერთ პუნქტებზე იგზავნება ბავშის ფეხსაცმელები დიდი რაოდენობით; გზავნილ აგრეთვე „მახორკა“-ს იქ, სადაც მას მომხმარებელი არ ყავს და სხვ. საერთოდ საბოლოოდ დადასტურდა ის გარემოება, რომ **ჩაის რაიონები მარაგდებიან ყველა რაიონებზე უფრო გეგმიანად და შეღავათიან პირობებში.** მომარაგების მხრით ყველაზე მეტი უაირატესობით სარგებლობს ჩაი.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის მომყვანთათვის გადადებული სამრეწველო საქონელი და მარცლეული ზოგან პირდაპირ დანიშნულებას არ ხმარდება. თავის სიტყვაში თათბირზე ამხ. ბაქრაძემ მოიყვანა მრავალი ფაქტები იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ფლანგავენ და ანიავებენ ჩაის მომყვანთათვის გამოყოფილ პროდუქტებს. არის მთელი რიგი ფაქტები, როდესაც მარცლეული, რომელიც უნდა დაურიგდის ჩაის კოლმეურნეობებს, ეძლევა მოსამსახურეებს და სრულიად შემთხვევითი პირებს, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ ჩაის მეურნეობასთან. ამას ადგილი ქონდა განსაკუთრებით ოზურგეთის რაიონში და აფხაზეთში. არის ისეთი შემთხვევებიც. როდესაც მარცლეულის და ავანსების ნაწილობრივის დროს ჩაის კოლმეურნეობებში მხედველობაში არ იღებენ გამომუშავებულ შრომა-დღეებს და მარცლეულს არიგებენ მოთხოვნილების, საჭიროების და არა სწორი პრინციპის მიხედვით.

მეჩაიეთა გეგმიან და შეუფერხებელ მომარაგებას გაძლიერებული ყურადღება უნდა მიექცეს მომავალში. საქმე დაყენებულ უნდა იქნეს ისე, რომ კოლმეურნეებმა, რომელთაც სამაგალითო შეასრულეს საწარმოო დავალება ჩაის დარგში, დროზე მიიღონ მეტი ფული, მეტი მარცლეული და სამრეწველო საქონელი.

წყალთა მეურნეობის სამმართველო განზე სდგას

წყალთა მეურნეობის სამმართველო ჩაის კულტურის შეუფასებლობას იჩენს, ეს სჩანს თუნდაც იქიდან, რომ მას დღემდე არა აქვს მტკიცე გეგმა იმ სამუშაოთა შესახებ, რომელიც მელიორაციის მხრივ ჩაის რაიონებში უნდა იქნეს ჩატარებული. მელიორაციის გაუტარებლობა ჩაის პლანტაციების გავრცელებას აფერხებს განსაკუთრებით აჭარისტანში და გურიაში, როგორც ჯღოლეჯიანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. **ბიგვავამ** განაცხადა თათბირზე, იქ 200 ჰექტარზე მეტი საუკეთესო სანაიე მიწა საჭიროებს მელიორატიულ ღონისძიებათა გატარებას.

საქართველოს ჩაის რაიონებში მელიორაცია გატარებული უნდა იქნას დაახლოებით 5.000 ჰექტარზე. ამ სამუშაოს ჩატარება მოითხოვს უდიდეს ენერგიას, დროს და სახსრებს. წყალთა მეურნეობის სამმართველომ ამ საქმეს უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება. მელიორატიულ ღონისძიებათა გატარება წყალთა მეურნეობის სამმართველომ უნდა შეუთანხმოს „საქართ. ჩაის“, მიწსახკომს, კოლმეურნეობათა ცენტრს და ტრაქტორცენტრს.

კოლხიდის სამუშაოების ყოველმხრივ დაჩქარებასთან ერთად, წყალთა მეურნეობის სამმართველოს წინაზე სდგას ამოცანა ყოველმხრივ გააძლიეროს მელიორატიულ სამუშაოთა წარმოება განსაკუთრებით ჩაის იმ რაიონებში, სადაც მიმდინარე წლის გეგმის მიხედვით გაშენებული უნდა იქნას ჩაის ახალი პლანტაციები. ამას გვიკარნახებს ერთის მხრივ ჩაისათვის გამოსადეგი მიწების სიმცირე, ხოლო მეორეს მხრივ ახალი პლანტაციების გაშენების საბრძოლო დავალებათა შესრულების აუცილებლობა.

ჩაის რაიონებს უნდა ჰქონდეთ კარგი გზები

სათანადო ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციები დღეიდე საკმაო ყურადღებას არ აქცევენ საგზაო მშენებლობას ჩაის რაიონებში, განსაკუთრებით ჩაის საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების სამოქმედო პუნქტებთან საქართველოს გზათა სამმართველო გართულია მარტო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მაგისტრალური გზების მშენებლობა - შეკეთებით და თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს ჩაის რაიონებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს გაყვანას ,შეკეთებას და აღდგენას.

ჩაის მეურნეობის სერიოზულად განვითარებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია კარგი გზების გარეშე. როგორც **ჯღოლეჯიანის** საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა განაცხადა — წელს იქ სასუქის შეტანა ვერ მოახერხეს უგზოობის გამო. წყლენჯიხის რაიონში გზების შეუკეთებლობის და ზოგ შემთხვევაში ამ გზების სრულიად უქონლობის გამო ძნელდება ჩაის ნათესი ფართობი თანდათან იზრდება, საძოვრების სივრცე კი მცირდება. ეს საფრთხეში აყენებს მეცხოველეობას ჩაის რაიონში. ადგილებზე მომუშავე ამხანაგები ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ.

ამხ. კ. ბახტაძემ (ხონი) თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა საკვები ბაზის რეკონსტრუქციის აუცილებლობას. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ **გადიდდეს ნათესი ბალახების სივრცე.** ესაა ერთად-ერთი და რადიკალური საშუალება ჩაის რაიონებში პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფისათვის.

„ცოცხალი ღობეებით“ დავიცვათ ჩაის პლანტაციები

მთელს საქართველოში განადგურებული არის დაახლოებით 2.000 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. აქედან ყველა დიდი რაოდენობა გაფუჭებულია პირუტყვის მიერ.

როგორც ვიცით, ჩაის ნაკვეთები ტეტის-მეტად დაქსიმაცებულია. არ არის ერთიანი მასივი. ეს მდგომარეობა საგრძნობლად აძნელებს პლანტაციების დაცვას. პრიმიტიული წესით პლანტაციების შემოღობვა ტეტის-მეტად ძვირი და არა რენტაბელურია. ამხ. **ი. გვასალიამ** (ზუგდიდის რაიონიდან) თათბირზე განაცხადა: „ჩვენ გამოვიკვლიეთ ერთ სოფელში ჩაის შემოსაკავებელი ღობის რაოდენობა და გამოირკვა, რომ მარტო ერთი სოფლის კოლმეურნეობათა პლანტაციებისათვის საჭიროა 70 კილომეტრის სიგრძის ღობე“-ო.

თუ მივიღებთ მხედველობაში ამ გარემოებას, რომ ჩვენ ხე-ტყის მასალის მწვავე ნაკლებობას განვიცდით, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ჩაის პლანტაციების შემოკავება ჩვეულებრივი ღობეებით ჩვენ არ შეგვიძლია.

თათბირზე ამხ. **ადამაძემ, ხუხუამ, კაჭარავამ, ბაქრაძემ** და სხვებმა წამოაყენეს ჩაის პლანტაციების ცოცხალი ღობეებით შემოკავების საკითხი. არის ერთნაირი ტროპიკული მცენარე — „ტრიფოლიატა“—რომელიც ცოცხალი ღობეებისათვის საუკეთესო მასალას წარმოადგენს. ეს მცენარე დარგვიდან 3—4 წლის შემდეგ ჩაის პლანტაციებს დაცვის მხრივ სრულიად უვნებელს ხდის. ამჟამად ეწყობა ტრიფოლიატის **სანერგეები.** შემდეგ წლიდან ჩაის პლანტაციების შემოკავება ამ ღობეებით ფართოდ უნდა გაიშალოს. ღობეების გაშენება მდე კი ჩაის პლანტაციების დაცვის ერთად-ერთ საშუალებად თათბირზე გამოსულ ამხანაგებმა სცნეს მეველეობის სისტემა, რასაც ჩაის რაიონში უკვე ატარებენ.

პირუტყვის საკვები ბაზის რეკონსტრუქციისათვის ჩაის რაიონში

დასავლეთ საქართველოს, აჭარისტანის და აფხაზეთის პირობებში ჩაის პლანტაციები შინდება უმთავრესად იმ ადგილებში, რომელნიც საძოვრებს წარმოადგენენ. ამჟამად ჩვენ ასეთი მდგომარეობა გვაქვს: ჩაის ნათესი ფართობი თანდათან იზრდება, საძოვრების სივრცე კი მცირდება. ეს საფრთხეში აყენებს მეცხოველეობას ჩაის რაიონში. ადგილებზე მომუშავე ამხანაგები ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ.

ამხ. კ. ბახტაძემ (ხონი) თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა საკვები ბაზის რეკონსტრუქციის აუცილებლობას. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ **გადიდდეს ნათესი ბალახების სივრცე.** ესაა ერთად-ერთი და რადიკალური საშუალება ჩაის რაიონებში პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფისათვის.

გარდა ამისა საჭირო იქნება საკვების მასიური დასილოსების ორგანიზაცია და საკვები კულტურების ნარევების თესლის გაფართოება. ამის მისაძლებლობა ჩაის რაიონებში ჩვენ ხელთ არსებობს.

ამ საკითხს თათბირზე არავითარი დავა არ გამოუწვევია.

მექანიზაცია, კადრები და ჩაის ინსტიტუტი

თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩაის სამუშაოთა მექანიზაციის საკითხებს. მექანიზაცია უმთავრესად უნდა გატარდეს ნიადაგის დამუშავების და მწვანე ფოთლის კრეფის დარგში. უახლოეს წლების განმავლობაში მექანიზაციის საფუძვლიანად გატარების პირობებში საჭირო იქნება ჩაის ახალი პლანტაციები. ამას გვიკარნახებს ერთის მხრივ ჩაისათვის გამოსადეგი მიწების სიმცირე, ხოლო მეორეს მხრივ ახალი პლანტაციების გაშენების საბრძოლო დავალებათა შესრულების აუცილებლობა.

გარდა ამისა საჭირო იქნება საკვების მასიური დასილოსების ორგანიზაცია და საკვები კულტურების ნარევების თესლის გაფართოება. ამის მისაძლებლობა

პარტიული მშენებლობა

„პარტხელმძღვანელობის ძიასლოვებას წარმოებასთან, თან უნდა სდევდეს საამქროში არსებულ კონკრეტული პირობების შესწავლა"

(„პრავდა")

აქტიური ყურადღება მორიგ პარტდღის 20 სექტ. ბოლშევიკურად ჩატარებას

კონკრეტული ხელმძღვანელობა ძირეულ რგოლებს

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წ. 31 ოქტომბრის დადგენილებაში დაავალა ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებს მოეხდინათ სიფუძველიანი გარდატეხა ძირეულ პარტიულ რგოლების მუშაობაში და პარტიულმასიური მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაეტანათ საამქროებში, ბრიგადებში, ცვლებსა და აგრეგატებში.

ამ დადგენილების სარეალიზაციოთ საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის განსახლებულმა ხელმძღვანელობამ დიდი მუშაობა ჩაატარა. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ მუშაობის საბრძოლო ამოცანად დაისახა პარტიულ-მასიური მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანა ძირეულ რგოლებში, და ამ მხრივ რიგი ღონისძიებანი იქნა მოპოებული. სოფლად საკოლმეურნეო უჯრედები გაიზარდა 370-დან 600-მდე, პარტმუშაობის დასაყრდენი პუნქტი, 60 სოფლის პარტორგანიზაციაში გამოყოფილია 3,700 მეტი ძირეული პარტიული რგოლი: პარტჯგუფი და პარტორგანიზატორი.

საკოლმეურნეო უჯრედების მუშაობის განმტკიცების მიზნით მეორე ხარისხოვან სამუშაოდ საკოლმეურნეო წარმოებაში გადაყვანილია 2,000-მდე პარტიული.

ასეთივე მუშაობა ჩატარდა ქალაქის პარტორგანიზაციებში.

ხ.ა. კ.პ. (ბ) ცკ-ს დადგენილების და ამხ. კაბანოვიჩის სიტყვის დამუშავება საფუძველზე — თბილისის პარტორგანიზაციამ სავრცნობ წარმატებებს მიაღწია ორგანიზაციულ პარტმასიური მუშაობის გარდაქმნის საქმეში. მოწინავე პარტორგანიზაციებს (მოსკოვი, ლენინგრადი, ბაქო) მუშაობის გამლიცლებულთა გადმოტანის საფუძველზე (პარტიული დღის ჩატარება, პარტკრებების ორგანიზაცია და სხვ.):

თბილისის პარტორგანიზაცია ობრძის ომისათვის, რომ კომკშვილის წარემატებული თვისი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის უპარტიო მუშაკთათვის, რომ თვითონ ული პასუხისმგებლობის ძირის ასრულებდეს გაჯილის სოციალისტური მშენებლობის ყველა უპირველეს ამოცანათა განხორციელებაში, ორგანიზაციის ავტორიტეტი და საუკეთესო დამკვიდრა მოწინავე მუშები შედიან პარტიის რიგებში.

პარტიული მუშაობის მთლიანად გარდაქმნისათვის გადადგმული უნდა იქნეს ბოლშევიკური ნაბიჯი, სოციალისტური შეჯიბრების ფართო ფრონტის ორგანიზაციის წარმოებით დარტყმის პრინციპით, ბრძოლა მოკითხვის, რომ პარტის წევრები და კომკავშირელები იქონ მუშათა მასების ნამდვილი წინამძღოლნი. პარტიულმა და კომკავშირელობამ აქტიობისა და სოციალისტიკის, დამკვრელობის პირადი მაგალითით უნდა გაიყოლონ უპარტიო მუშები.

საფუძვლიანი გარდატეხა უნდა მოვახდინოთ პარტიულ მუშაობაში, პარტმუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ საამქროებში, ბრიგადებში, ცვლებში, აგრეგატებში და სოცმშენებლობის ყველა უბნებში.

„პარტხელმძღვანელობის მიპყრობას წარმოებასთან თან უნდა სდევდეს საამქროში არსებული კონკრეტული პირობების უფრო ღრმად შესწავლა, პირველ ყოვლისა კი ამხ. სტალინის 6 მითითების არა ფორმალური, არამედ ნამდვილი განხორციელების ხელმძღვანელობა და დახმარება აღნიშნული კულტურების განვითარების საქმეში. ციტრუსოვანი კულტურები არ არის უზრუნველყოფილი სარგავი მასალით. ეს გარემოება საფრთხის წინაშე აყენებს მომდინარე წელს მათი დარგვის მთელ გეგმას.

მეცხოველეობის დარგში მთლიანად არ არის შესრულებული პირუტყვის სულადობის შენახვის გეგმა. ჯერ კიდევ გრძელდება პირუტყვის რაოდენობის შემცირება, გახ საკუთრებით მეცხვარეობის საქონლის მეურნეობაში. ყველა ეს დეფექტები, რომლებიც აღმოჩინა მიწსახკომის კონტროლის სექტორმა მიწსახკომის კოლეგიამ აღნიშნა თავის დადგენილებაში.

საქართველოს პარტორგანიზაციების მიერ დღემდე ამ მიმართებით ჩატარებული მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დაკმაყოფილებული. მოწინავე პარტორგანიზაციამ მუშაობის საბრძოლო ამოცანად დაისახა პარტ-მასიური მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანა ძირეულ რგოლებში, და ამ მხრივ რიგი ღონისძიებანი იქნა მოპოებული. სოფლად საკოლმეურნეო უჯრედები გაიზარდა 370-დან 600-მდე, პარტმუშაობის დასაყრდენი პუნქტი, 60 სოფლის პარტორგანიზაციაში გამოყოფილია 3,700 მეტი ძირეული პარტიული რგოლი: პარტჯგუფი და პარტორგანიზატორი.

საკოლმეურნეო უჯრედების მუშაობის განმტკიცების მიზნით მეორე ხარისხოვან სამუშაოდ საკოლმეურნეო წარმოებაში გადაყვანილია 2,000-მდე პარტიული.

ასეთივე მუშაობა ჩატარდა ქალაქის პარტორგანიზაციებში.

ხ.ა. კ.პ. (ბ) ცკ-ს დადგენილების და ამხ. კაბანოვიჩის სიტყვის დამუშავება საფუძველზე — თბილისის პარტორგანიზაციამ სავრცნობ წარმატებებს მიაღწია ორგანიზაციულ პარტმასიური მუშაობის გარდაქმნის საქმეში. სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში" ხა. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის საკითხზე 1931 წლის 31 ოქტომბრის მიღებული დადგენილებით დასახული იყო მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობდა საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სოფლის მეურნეობის განვითარებას. დადგენილება ცალკე ორგანიზაციებს აკისრებდა კონკრეტულ ვალდებულებებს. აღნიშნულ დადგენილების შესრულებაში ამიერ-კავკასიამ საბრძნო წარმატებებს მიაღწია ისეთი უმნიშვნელოვანესი კულტურების განვითარების საქმეში, როგორიცაა: ბამბა, ჩაი, თამბაქო, ციტრუსოვანი კულტურები.

მაგრამ ამასთან ერთად მთელ რიგმა სამეურნეო ორგანიზაციებმა დღემდე ვერ მოახერხეს ნამდვილი ყოველდღიური ბრძოლა რაოდენობრივი და ხარისხობრივი გეგმების შესრულებისათვის. მაგალითად, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად იზრდება თამბაქოს მოსავლიანობა, ნარგავი ფართობის დამუშავების ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია. არ სჩანს მოსავლის აღების ჩატარება ლენინის პარტიის მიერ შენი ხელმძღვანელობით. ძალას გვმატებენ ჩვენ საბრძოლო სწავლების მწვერვალების დასაპყრობად, მოვიპოვეთ დამარცვება საბრძოლო მზადყოფნის გადამწყვეტ უბნებზე. ჩვენს წინაშე დგას ამჟამად სარაზმი სწავლება. გაძლევთ შენ წითელარმიელურ სიტყვას, რომ ამ სწავლების დროს მივაღწევთ ტაქტიკური მომზადების და საბრძოლო ტეხნიკის გამოყენების ნიმუშებს.

დარწმუნებული ვიყავი, ჩვენო საპატიო მებრძოლო, რომ სტალინელი მებრძოლები მომავალშიც ღირსეულად ატარებენ შენს სახელს. ჩვენ გავამარცხებთ მას სასწაულთ ვველებზე, გავამარცხებთ მას მომავალ ბრძოლაში მოკომპრომისოს.

მიიღეთ ჩვენგან (ჩვენთვის სასიხარულო სასწავლო გამარჯვებების დღეებში) ჩვენი საბრძოლო წითელარმიელური სალამი.

1-ლი ქართული დივიზიის მებრძოლები და უფუშენადგენლობა.

დივიმეთაური ქუთათელაძე. დივიპომკომი და პოლიტგანყოფილების უფროსი უგულავა.

გავაძლიეროთ ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის

სტალინისის დეპოს პარტორგანიზაციამ ბოლშევიკურად გაშალა მუშაობა პარტდღის ჩასატარებლად. ხონასწარ მოწვეულ იქნა დეპოს პარტიული აქტივის თათბირი, სადაც ძრის უჯრედის მდივნებთან ერთად, თათბირს დასხა პარტიული ღონისძიებები, თუ როგორ უნდა გაეშალათ საამქროს უჯრედებში მოსამზადებელი მუშაობა. ცალკე უჯრედებში გამოიყო თერთმეტმეშინისტების ბრიგადები, რომელთაც დაევალათ ძირეული რგოლების მუშაობის შემოწმება, მუშათა წინადადებების შეგროვება ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილების და მირონოვის ბრძანების რეალიზაციისათვის. სამზადისი მუშაობის ჩატარებაში ჩამორჩა სავაგონო პარკი, მაგრამ ეს ნაკლიც დროულად იქნა გამოსწორებული. ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება და მირონოვის ბრძანება ა.-კ. რკინის გზების მუშაობის შესახებ დეპოს პარტკომკავშირის უჯრედებში და მუშების საერთო კრებებზე. დეპოს პარტიულმა ორგანიზაციამ ამხ. კაგანოვიჩის მითითებების და მოსკოვის ჭარხლის „ინმამის" გამოცდილების გადმოტანით შესძლო პარტძალების სწორად განაწილება საამქროში და ბრიგადებში. განსაკუთრებული ორიენტირება მიეცა საშუალო რგოლის საამქროს ბრიგადის განმტკიცებას. საამქრო უჯრედები გამ სხვილებულ იქნა (5 უჯრედის ნაცვლად ამჟამად არის 3), სამაგიეროდ გაიზარდა პარტჯგუფების და პარტორგანების რიცხვი. ასე მაგალითად, დეპოს მემანქანეთა ცეხში მოწყობილია 8 რგოლის უჯრედი, 4 პარტჯგუფი ცვლების მიხედვით და ა. შ. უჯრედის მდივნები და პარტჯგუფის ხელმძღვანელები გადამზადებულ იქნა კურსებზე. მუშებმა დასდეს სოციალისტური შეჯიბრის ხელშეკრულება 1 პარტკონფერენციის წინაღ მებრძოლთა უფუშემადგენლობასთან სოციალისტური შეჯიბრის ხელშეკრულებაში ეუშების მხრივ შემდეგი ვალდებულებებია გათვალისწინებული: საწარმოო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულება, როგორც რიცხვობრივი ისე ხარისხობრივ მიჩვენებლებით, სოციშეჯიბრში და დამკვრელობაში მუშების ფართოდ ჩაბმა, სტალინის ექვსი ისტორიული მითითებათა მთლიანად რეალიზაცია, ყველა ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა და სხვა. წითელმა მებრძოლებმა კონკრეტული ვალდებულებები აიღეს, რომ კიდევ უფრო განამტკიცონ სამუშაო დისციპლინა, ამაღლონ პროდუქციის ხარისხის დონე და გაუმჯობესებისათვის.

ავადმყოფ ორთქლმავალთა რაოდენობა დაწესებული ნორმის 12,7 პროც. ნაცვლად 15,5 პროც. აღწევს. გაფუჭებულთა სვლა, რომელსაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ტვირთნიდვის გეგმების შესრულებისათვის, არ არის მთლიანად გატარებული. ჯერ კიდევ ბრაყალია, შრომის დისციპლინის დარღვევის და კერძოდ გაწყვეტილებული ხვლის ზალის მაგალითები. სუსტადაა გატარებული ერთმმართველობა, დეპოს პარტორგანიზაციამ ბოლომდე უნდა გარდაქმნას პარტმასიური მუშაობა.

ბ. გოგნაძე

სტალინის რაიკომის პლენუმი

პლენუმმა 1932-33 წლისათვის პარტგანათლების ქსელის ორგანიზაციის საკითხებზე მოისმინა საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ს. აკოპოვის მოხსენება.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რვა ამხანაგმა.

პრესის მიმოხილვა

ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა საფეხურზე

გაზ. „დამკვრელი" (ხონი)

ხონის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის და სა ქ. კ. პ. (ბ) შერეე ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საფუძველზე ორგანიზაციულ –პარტიული მუშაობის გარდაქმნის დარგში. როგორც ვიცით საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი 31 ოქტომბრის დადგენილებაში აღნიშნავდა „სოფლის პარტორგანიზაციის უყადურეს სისუსტეს" ამ ორგანიზაციების დანგვიანებას ადმინისტრატ. იძულების ელემენტებისა და გადახვევების ფარათოდ გავრცელებას ორგანიზაციების მუშაობაში".

ამის მიხედვით ცკ-ს 31 ოქტომბრის დადგენილებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად არის დასახული პარტიული ორგანიზაციების მომზადება და განხორციელება ორგანიზაციულ პარტიული მუშაობის გარდაქმნის შემდეგ. ამ ამოცანის განხორციელების დროს დაწესებულებებში ეკონომიური ორგანიზაციების ხელმძღვანელობა ორგანიზაციულ პარტიული მუშაობის გარდაქმნის საკითხებს. ამ ამოცანის განხორციელების დროს ხონის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ ბოლშევიკურად გაშალა მუშაობა. ხონის რაიონის პარტორგანიზაციის ბიუროს სხდომაზე მოისმინა ხონის რაიონის პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. ა. ი—ს მოხსენება „პარტიული ორგანიზაციების ამოცანების მდგომარეობა ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფდა მიმდინარე წლის სამეურნეო პოლიტიკური ამოცანების გადაჭრას,; პარტიული ძალების ბრიგადებში, რგოლებში და ჯგუფებში, ძირითადად სწყვეტს საკითხს დასახული ამოცანების ბოლშევიკურად შეურყეველი განხორციელების უზრუნველყოფის საქმეში".

ამის მიხედვით ცკ-ს 31 ოქტომბრის დადგენილებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად არის დასახული პარტიული ორგანიზაციების მომზადება და განხორციელება ორგანიზაციულ პარტიული მუშაობის გარდაქმნის შემდეგ. ამ ამოცანის განხორციელების დროს დაწესებულებებში ეკონომიური ორგანიზაციების ხელმძღვანელობა ორგანიზაციულ პარტიული მუშაობის გარდაქმნის საკითხებს. ამ ამოცანის განხორციელების დროს ხონის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ ბოლშევიკურად გაშალა მუშაობა. ხონის რაიონის პარტორგანიზაციის ბიუროს სხდომაზე მოისმინა ხონის რაიონის პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. ა. ი—ს მოხსენება „პარტიული ორგანიზაციების ამოცანების მდგომარეობა ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფდა მიმდინარე წლის სამეურნეო პოლიტიკური ამოცანების გადაჭრას,; პარტიული ძალების ბრიგადებში, რგოლებში და ჯგუფებში, ძირითადად სწყვეტს საკითხს დასახული ამოცანების ბოლშევიკურად შეურყეველი განხორციელების უზრუნველყოფის საქმეში".

